ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის

2023 წლის ანგარიში

წარმოგიდგენთ,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი/განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

მოგეხსენებათ, რომ მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის დაქვემდებარებაში შედის 3 ა(ა)იპი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება და სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს 9 თვეს, სამსახურს დაეწერა 98 შემოსული/მიმართვა/მოხსენებითი ბარათი/განცხადება/შიდა კორესპონდენცია, რომელიც შესრულდა, გაცემული იქნა შესაბამისი პასუხი, ან გადამისამართდა სხვადასხვა სამსახურში რეაგირებისთვის.

სამსახურმა საგანმანათლებლო მიმართულებით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- 2023.02.13 თებერვალს სამუსიკო სკოლის დარბაზში საჯარო ლექცია–სემინარი ჩატარდა თემაზე **„დეპრესია და შფოთვები"** სემინარს უძღვებოდა მწერალი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე.
  შეხვედრის შემდეგ საინტერესო დისკუსია გაიმართა გიორგი კეკელიძესა და ახალგაზრდებს შორის,ახალგზრდებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო კითხვებზე.
  სემინარს 115 ახალგაზრდა ესწრებოდა.

- 2023.03.24-29 მარტის ჩათვლით ქ. გურჯაანში ტექნოპარკში ჩატარდა ტექნოლოგიური კვირეული **„ახალგაზრდები მდგრადი განვითარებისთვის"** ლაგოდხის მუინიციპალიტეტიდან კონკურსის წესით შეირჩა 18 ახალგაზრდა ქ.ლაგოდეხი,ს.ვარდისუბნი,ს.ჭიაური,ს.ცოდნისკარი, ს.კართუბანი და ს.თამარიანის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეებმა 5 დღის განმავლობაში გაიარეს საინტერესო ინოვაციური ტრეინინგები ცნობიერების ამაღლების მიზნით, ისწავლეს არსებული გამოწვევევების და პრობლემების ტექნოლოგიური გზით გადაჭრის გზები.
  ხუთი დღის განმავლობაში ბავშვებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ სრულად დაუფინანსა ტრანსპორტირების ხარჯები.

- 2023.04.11 აპრილს საათზე ქ. გურჯაანში (გურჯაანის ტექნოპარკი) გაიმართა **„პროგრამირების ვორქშოპები ახალგაზრდებისთვის"** ღონისძიების ფარგლებში,სქილვილის წარმომადგენლებმა ისაუბრეს კონკრეტულ სპეციალობებზე და მოახდინეს კოდირების სხვადასხვა მეთოდების დემონსტრირება, ვორქშოპის ბოლოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოს წევრებიდან შეირჩა 1 მონაწილე კართუბნის საჯარო სკოლის

მოსწავლე მარიამ წიქარიშვილი რომელთაც საშუალება ექნებათ ისწავლონ ,,სქილვილში " (აკადემია საქართველოში) სრულიად უფასოდ.

- 2023.05.4 მაისს, ახალგაზრდულის მცირე დარბაზში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოწვევით სახალახო დრამატული თეატრალურ დასს ჩაუტარდა ტრეინინგი (საინფორმაციო შეხვედრა) თემაზე: **პერსონალური მონაცემების დაცვა.** შეხვედრის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, მონაცემთა უსაფრთხოება და მონაცემთა სუბიექტის უფლებები. შეხვედრის ფარგლებში მიღებული ცოდნა მონაწილეებს გაუღრმავათ ცოდნას პერსონალური მონაცემების მიმართულებით და ასევე დაეხმარათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მომზადებული პიესების დადგმისას. შეხვედრას წარუძღვნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლები: მარიამ გაიპარაშვილი და თენგიზ მამულია.

- 2023.05. 26 მაისსა და 3-4 ივნისს ქ. გურჯაანში (გურჯაანის ტექნოპარკი)გაიმართა პროექტი **,,თამაშების შექმნის სასკოლო კონკურსი".**
  პროექტი შეგდებოდა ორი ნაწილისგან რომელიც მოიცავს ტრენინგ-ვორქშოპს და სასკოლო სახალისო თამაშების შექმნას,მონაწილე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ ტრენერის დახმარებით შეექმნათ და წარმოედგინათ თამაშები,მასშტაბურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი აიღო ვარდისუბნის საჯარო სკოლის გუნდმა რომლის წევრები იყვნენ **ამირან მაჭარაშვილი და ნიკა ობოლაძე.**
  აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა აფენის N2, ცოდნისკარის , გიორგეთის და ვარდისუბნის საჯარო სკოლის 16 -მა ახალგაზრდამ,რომელთაც მერიის მიერ სამი დღის განმავლოაში სრულად დაუფინანსდათ ტრანსპორტირება.

- 2023.07. 11-12 ივლისს ქ.ლაგოდეხში და სოფ.კაბალში გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით გაიმართა ხატვის შემოქმედებითი მასტერკლასი თემაზე ,, **„ადამიანის უფლებები და თანასწორობა"**.მასტერკლასს გაუძღვება მხატვარი - გიორგი გამეზარდაშვილი (გამეზა),მასტერკლასი გათვლილი იყო „ნორჩ მხატვრებზე", ვისაც უკვე აქვს გარკვეული ცოდნა/გამოცდილება სახვით ხელოვნებაში, ქმნის ინდივიდუალურ ნამუშევრებს. ბავშვებმა შექმნეს თავიანთი თვალით დანახული ადამინის უფლებები, რომელსაც დისკუსიაც მოყვა ადამიანის უფლებებზე,ღონისძიების დასასრულ ადგილზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.
  ხატვის შემოქმედებით მასტერკლასში ხატვით დაინტერესებული 78 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

- 2023.07. 20 ივლისს ლაგოდეხელი ახალგაზრდებისათვის, **,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის** საკითხებზე, საინფორმაციო სემინარი გაიმართა.
  შეხვედრა ქ. ლაგოდეხში, ისტორიული მუზეუმში ჩატარდა.
  შეხვედრაზე, ახალგაზრდებმა, ინფორმაცია მიიღეს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებსა და პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე, დარღვევების იდენტიფიცირებას და საკუთარი თუ სხვისი უფლებების დაცვის შესახებ.
  ღონისძიება, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ევროკავშირისა და (EU) მხარდაჭერით გაიმართა და მას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, საჯარო სექტორზე, ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ლია კობალაძე წარუძღვა.

გარდა საგანმანათლებლო პროგრამებისა განათლების ,კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურმა განახორციელა გასართობი აქტივობები .

- 21 ივნისს ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაიმართა ადგილობრივი „ფეინთბოლის ჩემპიონატი 2023". წელს ფეინთბოლის ჩემპიონატი მეორედ გაიმართა და მასში ჩართული ახალგაზრდების მსურველები კიდევ უფრო გაიზარდა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ექსტრემალური სპორტით დაინტერესებულმა 85-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა რაც გაცილებით მეტია წინა წლის ფეინთბოლის ჩემპიონატში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობასთან.
  გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფეინთბოლის ჩემპიონატზე.
  ღონისძიებისთვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3500 (სამიათასხუთასი) ლარი.

- 27 ივლისს დუშეთის მუნიციპალიტეტში დაბა ფასანაურში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის გაიმართა 1 (ერთი) დღიანი ტური „ჯომარდობა არაგვზე" ექსტრემალური სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდების ჩართვა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებულ, დასვენების განტვირთვისა და სათავგადასავლო აქტივობების განხორციელებას,გარდა ჯომარდობისა ტურში მონაწილე 60 ახალგაზრდას შესაძლებლობა მიეცათ ესარგებლათ ცხენებითა და კვადროციკლებით,დღის დასასრულს კი მოინახულეს ანანურის ციხე სიმაგრე.

ღონისძიებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3300 (სამიათას) ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შეომოღებისა და მინიჭების წესის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ 6 თვის მონაცემებით დააჯილდოვა 11 (თერთმეტი) წარმატებული სპორტსმენები ,მათზე გაცემულმა ფულადი ჯილდოების რაოდენობა ჯამში შეადგენს 5900 (ხუთიათას ცხრაასი) ლარს.ხოლო წარმატებული მწვრთნელზე გაცემული ფულადი ჯილდო შეადგენს 2420 (ორიათას ოთხას ოცი) ლარს.

- დავით ბაქრაძემ მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა კრივში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში რომელსაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცა ფულაფი ჯილდო 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

- მარიამ ბახტურიძემ პირველი ადგილი მოიპოვა და გახდა კრივში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში რომელსაც მერიისგან გადაეცა ფულადი ჯილდო 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.ასევე ფულადი ჯილდოთი დაჯილდოვდა მათი მწვრთნელი ალიკა ბირუქაშვილი.

- ირაკლი დეკანოიძე „საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის" ჭაბუკთა და გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სპორვმენს გადაეცა ფულადი ჯილდო 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით,ხოლო მისი მწვრთნელს ალიკა ბირუქაშვილს გადაეცა გადაეცა ასევე ფულადი ჯილდო 80 ლარის ოდენობით.

- მარიამ ძამანაშვილი გახდა ჩემპიონი „2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის" რომელსაც გადაეცა ფულადი ჯილდო 600 (ექვსასი) ლარი, მისი მწვრთნელს ალიკა ბირუქაშვილს გადაეცა ფულადი ჯილდო რომელიც შეადგენს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

- **სანდრო სიუკაშვილი** ,,2006-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის" მესამე ადგილი დაიკავა 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში რომელსაც ასევე ფულადი ჯილდო 400 (ოთხასი) ლარი გადაეცა,მის მწვრთნელს თემურ ღვალაძეს კი ფულადი ჯილდო 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

- **მარიამ ძამანაშვილი** ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის" ჭაბუკთა და გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში რომელსაც ასევე ჯილდოს 600 (ექვსასი) ლარი გადაეცა.მის მწვრთნელს ალიკა ბირუქაშვილს კი ფულადი ჯილდო 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

- **ირაკლი დეკანოიძე** ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის" ჭაბუკთა და გოგონათა შორის მესამე ადგილი დაიკავა 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში რომელიც ითვალისწინებს ჯილდოს 400 (ოთხასი) ლარს, მის მწვრთნელს ალიკა ბირუქაშვილს კი ფულადი ჯილდო 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

- **ლევან შაინიძე** ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში" 23 წლამდე ახალგაზრდბს შორის პირველი ადგილი დაიკავა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მას ფულადი ჯილდოს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით ხოლო მის მწვრთნელს ალიკა ბირუქაშვილს გადაეცა ფულადი ჯილდო 400 ოთხასი) ლარის ოდენობით.

- **შოთა ჯაფიაშვილი** ,,საქართველოს 2023 წლის ჩემპიონატი შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში" მონაწილეობა მიიღო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში,კერძოდ სოფ.კავშირში მცხოვრებმა 23 წლამდე ახალგაზრდბს შორის მეორე ადგილი დაიკავა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში რომელსაც ასევე გადაეცა ფულად ჯილდოს 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

- **სოფია ლიმარი** ,,2023 წლის ევროპის სასკოლო ჩემპიონატი" ჭადრაკში მან უმცროსი ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის მეორე ადგილი დაიკავა პატარა მოჭადრაკეს ასევე გადაეცა ფულადი ჯილდო რომელიც შეადგენს 250 (ორას ორმოცდა ათი) ლარს.

- **იმედა გოგოლაძე** საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ,,საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2023 წლის" ჩემპიონატი სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში გაიმართა სადაც იმედა გოგოლაემ პირველი ადგილი დაიკავა და გახდა სტუდენტური ფესტივალის ჩემპიონი სამბოში,მას მერიისგან გადაეცა ფულადი ჯილდო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით,ხოლო მის მწვრთნელს ჯიმშერ მუმლაძეს ფულადი პრიზი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- **შოთა ჯაფიაშვილი** საქართველოს შერეული საბრძოლო ხელოვნებების ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა შერეული საბრძოლო ჩემპიონატი ,,ახალგაზრდა მებრძოლები 3" ,სპორცმენამა 23 წლამდე ახალგაზრდბს შორის პირველი ადგილი დაიკავა 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში,მას მერიისგან გადაეცა ფულადი ჯილდო 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

- **5 ოქტომბერს** კ/თ სინემაში **,,მასწავლებლის საერთაშორისო დღე"** აღინიშნა.
,,წლის მასწავლებელი" ლაგოდეხის 28 საჯარო სკოლასა და 1 კერძო სკოლაში კოლეგების გადაწყვეტილებით გამოვლინდა , პედაგოგებს სპეციალური ჯილდოები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ, ღონიძიება მიზანად ისახავდა მასწავლებლების წახალისებას და მოტივაციის ამაღლებას,

რაც ცერემონიის დასასრულს გამოიკვეთა კიდეც,წლის პედაგოგის დაჯილდოვებას ყოველწლიური სახე აქვს.
საღამო ადგილობრივი შემოქმედებითი ანსამბლების კონცერტით დასრულდა.

- **6 ოქტომბერს** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდული დღეები აღინიშნა. ღონისძიებები ორი დღის განმავლობაში გაგრძელდა და სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული და სპორტული აქტივობებით იყო დატვირთული.ახალგაზრდული დღეების ფარგლებში, ისტორიულ მუზეუმში, მთელი დღის განმავლობაში ოთხი სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი აქტივობა მოეწყო:
  - **„ევროპის გზა"**
  - **„დიდი თამაში"**
  - **მასტერკლასი მობილურ ფოტოგრაფიაში**
  - **საგანმანათლებლო სემინარი - „საუბრები უფლებებსა და თავისუფლებებზე".**

  შემეცნებითი ღონისძიებების პარალელურად, ლაგოდეხის დრამატულმა და თოჯინების თეატრმა, განახლებული თოჯინებით, პრემიერა **„ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"** გამართა. ახალგაზრდული დღეების ფარგლებში გაიმართა ასევე, ლაგოდეხისა და თემი „ქედელის" გუნდების ამხანაგური შეჯიბრი, პარასპორტულ სახეობა ბოჩაში. ახალგაზრდული აქტივობები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელშეწყობით, ახალგაზრდული ფესტივალი „ადამიანი & პლანეტის" ფარგლებში გაიმართა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში 200-მდე ახალგაზრდა მოიცვა.

- 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილება ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ", რამაც ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, დაფიქრებულიყვნენ თუ რა პრობლემა იდგა მათ თემში ახალგაზრდული მიმართულებით და ლიმიტირებული ბიუჯეტის ფარგლებში თავად ემსჯელათ ამ პრობლემის მოგავრების გზებზე.
  ლიმიტირებული 55 000 ლარიანი ბიუჯეტის ფარგლებში, 15-ივე თემის ახალგაზდულმა საბჭომ შეძლო იდეის წარდგენა, მათ ასევე მოახერხეს სხვა დონორი ორგანიზაციებიდან თანხების მობილიზება, შესაბამისად მოწონებული იდეების განხორცელებაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ზრუნავენ.

განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ

საკითხთა სამსახურის უფროსის მ/შ : /ლიანა ფოფხაძე/